



სამართლის დარგობრივი მახასიათებლის განმარტება და ევროკავშირის სწავლების ადგილი

ლაშა მარგიშვილი
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორის მოადგილე

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი საქმიანობა

- ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესების განხორციელება
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მართვა და განვითარება
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა და შესაძლებლობების განვითარება (კონფერენციები, ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონსულტაცია და სხვა)
- განათლების დადასტურება და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება (ENIC-NARIC-ის ადგილობრივი წარმომადგენლობა)
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა
- უმაღლესი და პროფესიული დარგობრივი მახასიათებლების შექმნა და განვითარება
- პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაცია

ცენტრის ხედვა/მისია

ცენტრის ხედვა: ცენტრი წარმოადგენს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მაღალი ნდობისა და აღიარების მქონე რეგიონულ ჰაბს, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებული სერვისების ფართო სპექტრს

ცენტრის მისია: ცენტრის მისიაა განათლების ხარისხის განვითარების **მხარდაჭერა**, მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული **სერვისების გაწევისა** და **ხარისხზე ორიენტირებული მმართველობის** გაძლიერების ხელშეწყობის გზით



ცენტრის ღირებულებები:

- ობიექტურობა
- გამჭირვალეობა
- მიუკერძოებლობა
- თანამშრომლობა
- განვითარება და ინოვაციურობა

საერთაშორისო აღიარება

2018 - სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) აღიარება

2019 - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციაში (ENQA) გაწევრიანება

2019 - უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრში (EQAR) დარეგისტრირება

2018-2020 - BICG TPG C on QA თანათავმჯდომარეობა

2020- ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოში (CEENQA) გაწევრიანება

2021-2024 - BICG TPG A on QF თანათავმჯდომარეობა



European Association for Quality Assurance in Higher Education



2018

WFME

2019

EQAR

2020

CEENQA

2019

ENQA

2018 - to present

BICG/Co-chair of TPG C on QA and TPG A on QF




ევროპის იურიდიული ფაკულტეტების ასოციაცია (ELFA)



- ❑ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და ევროპის იურიდიული ფაკულტეტების ასოციაციას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

- ❑ მემორანდუმის მიზანი:
 - ✓ სამართლის სფეროს პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება და მათი აკრედიტაციის პროცესის ხელშეწყობა
 - ✓ სამართლის დარგის საერთაშორისო ექსპერტების მოძიების ხელშეწყობა
 - ✓ ევროპის წამყვანი იურიდიული ფაკულტეტების გამოცდილების გაზიარებით, საქართველოში იურიდიული განათლების რეფორმის ხელშეწყობა
 - ✓ იურიდიული განათლების საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივი კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების, სემინარების ორგანიზება და ჩატარება

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამები - 30 საგანმანათლებლო დაწესებულება



სამართლის დარგობრივი მახასიათებლები

- ❑ სამართლის პირველი დარგობრივი მახასიათებელი დამტკიცდა - 2011 წლის 1 ივნისს

- ❑ სამართლის მოქმედი დარგობრივი მახასიათებელი 7 წლის ვადით დამტკიცდა 2020 წლის 2 აპრილს და ამოქმედდა 2020 წლის 1 ივნისიდან

- ❑ **დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების მეთოდოლოგია:**
 - დარგობრივი საბჭოს ფორმირების მიზნით, ყველა დაინტერესებული პირის მოწვევა
 - დარგობრივი საბჭოს ფორმირება
 - დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შემუშავება
 - დოკუმენტის პროექტის განხილვის პროცესის საჯაროობის უზრუნველყოფა
 - მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, დოკუმენტისთვის საბოლოო სახის მიცემა
 - დარგობრივი საბჭოს მიერ დარგობრივი დოკუმენტის მიღება კენჭისყრით და დირექტორისთვის წარდგენა
 - დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცება და ცენტრის ვებგვერდზე საჯაროდ გამოქვეყნება

დარგობრივი საბჭოს შემადგენლობა და მახასიათებლის სტრუქტურა

□ საბჭოს შემადგენლობა - 14 წევრი

- უმაღლესი საგანმანათლებლო წარმომადგენლები
- იუსტიციის უმაღლესი სკოლა
- თბილისის პროკურატურა
- საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

დაწესებულებების

□ სტრუქტურა:

- ✓ შესავალი
- ✓ სწავლის სფეროს აღწერა
- ✓ სწავლის შედეგები საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებისთვის
- ✓ სწავლება, სწავლა და შეფასება
- ✓ აკადემიური პერსონალი და მატერიალური რესურსები
- ✓ დარგობრივი საბჭოს შემადგენლობა



დარგობრივი მახასიათებელი

- ❑ დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც სამართლის სფეროს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მიდგომებს
- ❑ სამართლის დარგობრივი მახასიათებლის დაცვა სავალდებულოა ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის
- ❑ სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი, ასევე, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოუკიდებლად




საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის პროგრამების სწავლის შედეგები

- ❖ დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები მოიაზრებს მინიმალურ მოთხოვნებს და დაწესებულებას შეუძლია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით სხვა შედეგებზე განსაზღვროს
- ❖ საერთაშორისო სამართლის, საჯარო სამართლის, სისხლის სამართლის ან კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისას სწავლის შედეგების ჩამოყალიბება უნდა განხორციელდეს შესაბამისი სწავლის სფეროების მიხედვით

□ სწავლის შედეგები:

- ✓ ცოდნა და გაცნობიერება
- ✓ უნარები
- ✓ პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

BLOOM'S TAXONOMY



საერთაშორისო სამართლისა და ევროკავშირის სწავლება

□ საბაკალავრო საფეხური

□ სტუდენტი აღწერს საერთაშორისო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობას

□ სტუდენტი მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემებისა და სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით



საერთაშორისო სამართლისა და ევროკავშირის სწავლება

❑ სამაგისტრო საფეხური

- ❑ სტუდენტი აღწერს ეროვნული და უცხოური სამართლის მიღწევებს, განვითარების პერსპექტივებსა და ძირითად ტენდენციებს, ასევე, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს
- ❑ სტუდენტი აღწერს პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ეროვნული და უცხოური გამოცდილების, უახლესი ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით
- ❑ სტუდენტი ხსნის ევროკავშირის სამართლის გავლენის მნიშვნელობას ქართული სამართლის განვითარებაზე
- ❑ სტუდენტი განსაზღვრავს შედარებითი სამართლის არსსა და შედარებით სამართლებრივი მეთოდის გამოყენების დანიშნულებას
- ❑ სტუდენტი განმარტავს სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე, შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ნორმების შედარებითი ურთიერთკავშირის საფუძველზე



ევროკავშირის სამართლის სწავლება საგანმანათლებლო პროგრამებში

❑ საბაკალავრო საფეხური

- ✓ ევროკავშირის სამართალი ისწავლება, როგორც სავალდებულო ან არჩევითი სასწავლო კურსი
- ✓ საერთაშორისო საჯარო სამართალი ისწავლება, როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი

❑ სამაგისტრო საფეხური


- ✓ ევროკავშირის სამართალი ისწავლება, როგორც სავალდებულო ან არჩევითი სასწავლო კურსი
- ✓ ისწავლება ევროკავშირის სისხლის, სამოქალაქო და საჯარო სამართლის სასწავლო კურსები
- ✓ ისწავლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები
- ✓ ცალკეული სასწავლო კურსები მოიცავს შედარებითი ინსტიტუტების, სისტემების სწავლებას



სამართლის პროგრამებზე დაფიქსირებული ძირითადი რეკომენდაციები

- ❑ გაიზარდოს დაწესებულებების ინდივიდუალური მიდგომები პროგრამების სწავლის შედეგების და შინაარსის განსაზღვრისათვის, სადაც გამოიკვეთება დაწესებულების ინდივიდუალური მიდგომები
- ❑ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, გაძლიერდეს დაწესებულებების თანამშრომლობა შრომის ბაზრის, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პროფესიულ ასოციაციებთან
- ❑ გაძლიერდეს პრაქტიკული უნარების გამომუშავების კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამებში, მათ შორის შესაბამისი ტრეინინგების ჩატარებისა და რეალურად განხორციელებადი, ქმედითი მემორანდუმების დანერგვის გზით
- ❑ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების გათვალისწინებით, გაძლიერდეს ევროკავშირის სამართლის სწავლება
- ❑ გაძლიერდეს სტუდენტებისათვის ტრანსფერული და კვლევითი უნარების განვითარების პროცესი
- ❑ გაძლიერდეს პროგრამებში პროფესიული ეთიკისა და ღირებულებების სწავლება
- ❑ სწავლა-სწავლების, შეფასების მეთოდების, ასევე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების განვითარება
- ❑ მოხდეს იურიდიული ლიტერატურის განახლება და დარგობრივ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის გაზრდა

ცენტრის სამომავლო ხედვა და გეგმები





გმადლობთ ყურადღებისთვის!
Eqe.ge